

უკრაინის ელჩი სამხარეო ადმინისტრაციას სტუმრობდა

13 აპრილი 2018

შიდა ქართლის რწმუნებული-გუბერნატორი აკაკი მაჭუტაძე უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში, იგორ დოგოვს შეხვდა. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო. რწმუნებულმა ელჩს შიდა ქართლის, კერძოდ კი გორის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გააცნო. ასევე, საუბარი შეეხო რეგიონის ტურისტულ და საინვესტიციო პოტენციალს. ვრცელი ინფორმაცია მიანოდა როგორც განხორციელებული, ისე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. შეხვედრაზე მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებიც განიხილეს.